თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის

ოქმი N 6

ქ. თეთრიწყარო 04.05.2018 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გულიკო შოშიტაშვილი
2. ჯემალ ბორცვაძე
3. გალინა ოქროპირიძე
4. ნაზი პოილარაშვილი
5. გიორგი ბაბანიანი
6. გურამ შავაძე
7. მურმან დვალაძე
8. ალექსანდრე კვერნაძე
9. ალექსანდრე მუკბანიანი
10. კახა ნადირაძე
11. ლეილა ხაჭვანი

დღის წესრიგი:

1. მრჩეველთა საბჭოს მუშაობის სტრუქტურის, სტრატეგიისა და ანგარიშის დოკუმენტის პროექტის წარდგენა;
2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნის არჩევა;
3. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2018 წლის კულტურის სტრატეგიის განხორციელების მოკლევადიანი სამოქმედო გეგმის წარდგენა და 2019 წლის სამოქმედო გეგმის ძირითადი პრიორიტეტების დასახვა;
4. თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის განხილვა;
5. მოქალაქეების განცხადების განხილვა;
6. 2018 წლის ინფრასტრუქტურული პროექტების წარდგენა და განხილვა;

განიხილეს: სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მუშაობის სტრუქტურა, სტრატეგია და ანგარიშის დოკუმენტის პროექტის წარდგენის საკითხი;

აზრი გამოთქვეს :

საბჭოს თავმჯდომარემ, გ. შოშიტაშვილმა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს დეტალურად გააცნო საბჭოს მუშაობის

სტრუქტურა, მისი მიზნები და ამოცანები; ასევე, ისაუბრა სტრატეგიისა და ანგარიშის დოკუმენტის პროექტზე; გარდა ამისა, საბჭოს წევრებს თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრთა მიერ მომავალში განსახორციელებელი საქმიანობები.

დაადგინეს:

მოწონებულ იქნას საბჭოს თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და წევრთა საქმიანობა განხორციელდეს საბჭოს სხდომებზე წერილობითი რეკომენდაციების წარმოდგენის სახით;

განიხილეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი,საბჭოს ახალი შემადგენლობიდან სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნის არჩევა;

აზრი გამოთქვეს :

გულიკო შოშიტაშვილმა სამოქალაქო საბჭოს მდივნად წამოაყენა ჯემალ ბორცვაძის კანდიდატურა;
აზრი გამოთქვა გალინა ოქროპირიძემ და მხარი დაუჭირა ჯემალ ბორცვაძის კანდიდატურას;

დაადგინეს :

<u>საბჭოს მდივნად</u> არჩეულ იქნას ჯემალ ბორცვაძე;

განიხილეს: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2018 წლის კულტურის სტრატეგიის განხორციელების მოკლევადიანი სამოქმედო გეგმა და 2019 წლის სამოქმედო გეგმის ძირითადი პრიორიტეტები;

აზრი გამოთქვეს : ინფორმაცია სამოქალაქო საბჭოს წევრებს გააცნო თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსმა, ფატიმა შავაძემ;
ასევე, ისაუბრა მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებზე, რომელიც ხელს უშლის კულტურული ღონისძიებების ჩატარება/განხორციელებას; გარდა ამისა, საბჭოს წევრებს სთხოვა რეკომენდაციის წარმოდგენა აქტიური და წარმატებული ახალგაზრდებისთვის წამახალისებელი პროგრამების შედგენის შესახებ;

გულიკო შოშიტაშვილმა აუცილებელია სამოქალაქო საბჭოს თითოეულ წევრს საშუალება მიეცეს, დეტალურად გაეცნოს კულტურის სტრატეგიის დოკუმენტს, როგორც ინტერნეტის, ასევე, ბეჭდური საშუალებით; ეთხოვოს მერიის შესაბამის სამსახურს აღნიშნულ

დოკუმენტთან დაკავშირებული მასალები გასაცნობად გადაეცეთ საბჭოს წევრებს;

ჯემალ ბორცვაძემ - მნიშვნელოვანია, აქტიური და წარმატებული ახალგაზრდებისთვის წამახალისებელი პროგრამების/აქტივობების შემუშავებასთან ერთად, მერიის შესაბამისმა სამსახურმა და ასევე, საბჭოს წევრებმა ვიფიქროთ ბავშვთა და ახალგაზრდული ისეთი პროგრამების შემუშავებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს არამარტო აქტიურ და წარმატებულ მოზარდებს, არამედ პასიურ და არც თუ ისე წარმატებულ ახალგაზრდებსაც;

ალექსანდრე კვერნაძემ - კითხვით მიმართა მომხსენებელს გარისობის ღონისძიებათან დაკავშირებით, იგეგმება თუ არა კიდევ 2018 წელს აღნიშნული ღონისძიების ორგანიზება და თუ შეიძლება მოხდეს ამ ღონისძიების პოპულარიზაცია და მოსახლეობისთვის მისი გაცნობა;

ასევე, დასვა კითხვა კონკრეტული ღონისძიებების/პროექტების დაფინანსებისა და ორგანიზების წესის თაობაზე;

რეკომენდაციის სახით, აღნიშნა, რომ კარგი იქნება მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი პროექტები გახდეს თვითმმართველობის მიერ დაფინანსების სამიზნე ჯგუფი;

გალინა ოქროპირიძემ - აღნიშნა, რომ კერძო/არასამთავრობო სექტორიდან ხდება ახალგაზრდობის ხელშეწყობა, თუმცა ამასთან ერთად, აუცილებელია მუნიციპალიტეტის გვერდში დგომა ამ ახალგაზრდობისთვის. ამასთან დაკავშირებით, მოიყვანა პოზიტიური მაგალითი, მერიის მხრიდან მხარდაჭერის თაობაზე;

დაადგინეს:

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თითოეულ წევრს მიეცეს საშუალება და გონივრული დრო, გაეცნონ აღნიშნულ სტრატეგიის დოკუმენტს და საკუთარი მოსაზრებები წარმოადგინოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემდეგ სხდომაზე; მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები იფიქრებენ ისეთი წამახალისებელი პროგრამების შემუშავებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა კატეგორიის, ინტერესისა და უნარ-ჩვევების მქონე მოზარდებს/ახალგაზრდებს;

განიხილეს:

თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთვის სარგებლობის უფლებით გადაცმის საკითხი;

აზრი გამოთქვეს :

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, მალხაზ საბაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთვის მუზეუმის გადაცემის

სავარაუდო პირობები. მან ისაუბრა პროექტის მნიშვნელობაზე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისთვის; საბჭოს წევრებს გააცნო თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის სახე, კერძოდ, აღნიშნული შენობა გარკვეული ვადით მხოლოდ სარგებლობაში გადაეცემა სააგენტოს უზურფრუქტის ხელშეკრულებით;
აღნიშნული შენობა-ნაგებობა აუცილებლად შეინარჩუნებს მუზეუმის ფუნქციას. გარდა ამისა, ყველა თანამშრომელი დარჩება უცვლელი და ასევე, საჭიროების შემთხვევაში მუზეუმს დაემატება ახალი პოზიციები; შენობას ჩაუტარდება რეაბილიტაცია/რესტავრაცია სააგენტოს სახსრებით;

შენობაში არსებული ექსპონატები სრული სახით შენარჩუნდება. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შენობა დღევანდელი მდგომარეობით ვერ აკმაყოფილებს მუზეუმისთვის აუცილებელ და საჭირო მოთხოვნებს; ამის შედეგად, გაუქმდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ა(ა)იპ მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რითაც დაიზოგება მნიშვნელოვანი თანხა, წელიწადში 60 000 ლარი;

ალექსანდრე კვერნაძემ წარმოადგინა კონკრეტული მაგალითი, ერთ-ერთი კულტურული მნიშვნელობის მქონე შენობის, კერძოდ დრიანეთის ეკლესიის სახურავის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, რითაც აღნიშნა, რომ სააგენთოსთან ურთიერთობა გარკვეული საფრთხეების შემცველია და მისთვის შენობის გადაცემა შესაძლებელია ნეგატიურ ჭრილშიც იქნას განხილული.

ვაჟა სულხანიშვილმა ალექსანდრე კვერნაძის საპასუხოდ აღნიშნა, რომ სააგენტოს ქმედება ამ კონკრეტულ მაგალითთან დაკავშირებით დროულად განხორციელდა და მის მიერ ორჯერ გამოცხადდა ტენდერი, რომელშიც არც ერთმა პრეტენდენტმა არ მიიღო მონაწილეობა;

თამარ ტალახაძემ დასვა შეკითხვა: რა ელის მუზეუმს და მასში არსებულ ექსპონანტებს სარგებლობის უფლების ვადის ამოწურვის შემდეგ;

ზაქრო გიგაურმა მხარი დაუჭირა მომხსენებლის მიერ წარმოდგენილ ინიციატივას და თქვა, რომ მიესალმება მუზუმის განვითარების საკითხს სააგენტოსთვის სარგებლობით გადაცემის გზით; მისი აზრით, აღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის ცნობადობას;

დაადგინეს :

<u>ამ საკითხთან დაკავშირებით მრჩეველთა საბჭო შემდეგი შეხვედრისთვის წარადგენს რეკომენდაციას;</u>

განიხილეს: დაბა მანგლისის სტალინის ქუჩის N69-ში მცხოვრებ მოქალაქეთა კოლექტიური განცხადება მოუგვარებელი საკანალიზაციო სისტემის შესახებ.

აზრი გამოთქვეს :

კახა ნადირაძემ საბჭოს წევრებს გააცნო დაბა მანგლისის სტალინის ქუჩის ორი კორპუსის მაცხოვრებელთა განცხადება, რომლითაც მათ მიმართეს მუნიციპალიტეტის მერს და მრჩეველთა საბჭოს. პრობლემას წარმოადგენს მიტოვებული და გაჭიანურებული მშენებარე საკანალიზაციო სისტემა და ამისგან შექმნილი სანიტარული პრობლემა, რომელიც კიდევ უფრო მწვავდება საკურორტო სეზონის მოახლოვებასთან ერთად. მან აღნიშნა, რომ მხოლოდ სარიტუალო სახლებისა და გასართობი ადგილების მოწყობა არ არის საკმარისი ტურიზმისა და კულტურული ღირსშესანიშნაობების განვითარებისათვის. მისი აზრით, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი დიდი რესურსია მანგლისის ტერიტორია, რომლის ინფრაქტრუქტურის მოწყობა მნიშვნელოვნად განავითარებს ტურიზმს.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა სხვა ინფრაქტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებითაც. კონკრეტულად მოიყვანა კლდეკარი-სამშვილდის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურაზე. აღნიშნული გეოგრაფიული არეალი კრავს სამკუთხედს, რომელიც მოიცავს მანგლისის ტერიტორიასაც. აქ პრობლემების გამოვლენა და მათი მოგვარება ასევე მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას და ის ტანხვერდაშია წარმოდგენილ კულტურის სტრატეგიასთან. რეკომენდაციის სახით აღნიშნა, რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ინფრაქტრუქტურული პროექტების განორციელებას; ამისათვის აუცილებელია ბიუჯეტში დამატებითი რესურსების მოძიება;

გულიკო შოშიტაშვილმა წარმოადგინა რეკომენდაცია: მუნიციპალიტეტის თვითმმართველობას უნდა ჰქონდეს მკაფიო პოზიცია დამატებითი სახსრების მოძიებასთან დაკავშირებით და მან ამისათვის უნდა მიმართოს RMG-ს, იმ შეუქცევადი ნეგატიური ზეგავლენის სანაცვლოდ, რასაც გარემო მიიღებს კომპანიის მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახლახანს დაწყებული სამუშაოებით.

დაადგინეს: წარმოდგენილ იქნას აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საბჭოს წევრთა შესაბამისი რეკომენდაციები;

განიხილეს: 2018 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები.

აზრი გამოთქვეს : თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსმა, ნატო ალთუნაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. თითოეულ წევრს გადაეცა 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების ჩამონათვალი. მომხსენებელმა დეტალურად ისაუბრა თითოეულ ინფრაქტრუქტურულ პრობლემასა და მისი მოგვარებისთვის დაგეგმილ პროექტებზე. ასევე, განიხილა ისეთი პროქტებიც, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

მომხსენებელმა, კახა ნადირაძის საპასუხოდ აღნიშნა, რომ სარიატუალო დარბაზების რეაბილიტაცია და მათი ინვენტარით აღჭურვა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმაში გაწერილ პროექტს, რაც განპირობებულია მოსახლეობის ყოფითი პირობებითა და მოქალაქეთა მიერ პირდაპირ ამ საჭიროებაზე მითიტებით. ასევე, კონკურსია გამოცხადებული მრავალფუნქციური საზოგადოებრივი მნიშვნელობის ცენტრის მოწყობაზე ქ. თეთრიწყაროში არსებულ ყოფილი უნივერმაღის შენობაში. ნ. ალთუნაშვილის განმარტებით ამ პროექტის განხორციელდება იგეგმება საგრანტო ორგანიზაციების მხარდაჭერითა და მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით.

დაადგინეს:
ინფრაქსტრუქტურის განყოფილება უზრუნველყოფს საბჭოსთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდებას მრავალფუნქციური საზოგადოებრივი მნიშვნელობის ცენტრის მოწყობის შესახებ.

საბჭომ დაასრულა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა და გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

1. საბჭოს სხდომაზე წევრებისთვის სრულად იყოს წარმოდგენილი განსახილველი დოკუმენტები;
2. ვინაიდან საბჭოს მუშაობის ტექნიკური უზრუნველყოფა ევალება მუნიციპალიტეტის მერიას, დარბაზი, სადაც იკრიბება სათათბირო ორგანო, (ამავე დარბაზში იმართება საკრებულოს სხდომები) აღიჭურვოს ტექნიკურად (ხმის გამაძლიერებლებით);
3. ეთხოვოს საქ. კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს დრიანეთის რეაბილიტაციის თაობაზე;
4. საბჭოს მიეცეს შესაძლებლობა ჩაერთოს მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგში;
5. მოხდეს მანგლისის მოსახლეობის კოლექტიური განცხადების შესწავლა და სასწრაფოდ დაიგეგმოს საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო ღონისძიებები;

ამით საბჭომ დაასრულა მუშაობა.

სხდომის მდივანი: ჯემალ ბორცვაძე

1. გულიკო შოშიტაშვილი
2. ჯემალ ბორცვაძე
3. გალინა ოქროპირიძე
4. ნაზი პოილარაშვილი
5. გიორგი ბაბანიანი
6. გურამ შავაძე
7. მურმან დვალაძე
8. ალექსანდრე კვერნაძე
9. ალექსანდრე მუკბანიანი
10. კახა ნადირაძე
11. ლეილა ხაჭვანი